

# SEE MORE

შენი ალტერნატიული სივრცე

N 3 (274)  
22. 06. 2015

## 13.06.15 თბილისი

„ზოოპარკის ტერიტორია დატოვა 13-მა მგელმა, 6-მა ლომმა, 6-მა ვეფხვმა და 7-მა დათვმა“, - აღნიშნულ ინფორმაციას ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ხელმძღვანელი თეიმურაზ ფხალაძის ავრცელებს.

მისი თქმით, ამ ცხოველებიდან უკვე დაძინებულია ერთი დათვი და ერთი ლომი. დანარჩენებს კი, თბილისის ქუჩებში ეძებენ.

გვ 2



## სენადამეპითაბულთა შუსენელი პრობლემა

ადამიანის ერთერთი ყველაზე ძლიერი მოთხოვნაა შვერძნებათა ნორმალური ფუნქციონირება, რომლის საშუალებითაც ის იღებს სასიცოცხლოდ აუცილებელ ინფორმაციებს. ხუთი გრძობის ორგანო ორგანიზმისთვის გარესამყაროდან აგროვებს ინფორმაციას სინათლის, ფერის, ხმის, სუნის, გემოს, ტემპერატურის, შეხების სახით. რომელიმე მათგანის უკმარისობა ადამიანისთვის, ბუნებრივია, დიდ ტრავმად აღიქვამება.

გვ 8

## ლუდოგანი-ფსიქოლოგიური ნარკოტიკი

საზოგადოება ყოველთვის დგას ზნეობრივი პრიორიტეტისა და მომხმარებლური ფსიქოლოგიის ზღვარზე. აზარტული თამაშებზე დამოკიდებულება სწორედ ადამიანის მომხმარებლური ბუნებიდან გამომდინარეობს, რაც გულისხმობს, რომ ის შიგნიდან მოდის და გარემო პირობების ხელშეწყობით პათოლოგიის დონემდე ვითარდება. ფაქტი ერთია, რომ მას სჭირდება ცივილიზებულ ფორმებში მოქცევა, სახელმწიფოსა და სოციალური მუშაკების აქტიური კომუნიკაცია, ერთობლივი ძალისხმევა და, რა თქმა უნდა, სამოქალაქო განათლების ამაღლება საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში, რომლებიც ახლა იწყებენ ძიებას, ფიქრსა და სიღრმისეულ აზროვნებას.

გვ 5

## მტყუნ-მართლის ძიებაში...

ყველას თავისი სიმართლე, არგუმენტები და ხედვა აქვს. აქედან გამომდინარე, რთული იყო ეს პოლემიკა - ძეზნა მტყუნ-მართლის, რადგან არსებობს ერთ შემთხვევაზე ორი რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება და კამათიც უსაშველოდ გრძელდება.

გვ 7

## ნებავ იმ თეატრი არის?!

კახი ყველასათვის საყვარელი მსახიობია, ბევრი ომი და ბევრი სირთულე გამოუვლია იმისთვის, რომ იგი ყველასათვის საყვარელი მსახიობი გამხდარიყო.

5 ივნისს 80 წლის იუბილე შეუსრულდა, ასაკიც არ აშინებს, ისევ შესაბამისი დრამატულობით განაგრძობს მოღვაწეობას თეატრის სამყაროში, მიუხედავად მაყურებლის ამხელა სიყვარულისა, მას არასდროს უოცნებია წასულიყო ან დაბადებულიყო სხვაგან და ამაცხის, = რომ ქართველია.

გვ 13



# ტალახიანი ჭინსების თაობა - ერთ მუშტად შიკრული თბილისი...

13-14 ივნისის თბილისში მდინარე ვერეს აღივსება და ჩამონოლილმა მენყერმა წყალიდობა გამოიწვია. დედაქალაქში რამდენიმე ადგილი დაიბინდა. ყველაზე მეტი პრობლემა ძლიერმა წვიმამ გმირთა მოედანსა და სვანიძის ქუჩას მოუტანა. წყალმა წაიღო მანქანები, მოგლიჯა ხეები

თბილისში ტრაგედია დატრიალდა. ძლიერი წვიმის გამო აღივსებულმა მდინარე ვერემ კალაპოტი გადმოლახა და მიმდებარე ხეობა დატბორა. მდინარე ზოპარკში თბილისის დროით დაახლოებით 23:30 საათზე შეიჭრა. წყალმა მთლიანად დაფარა ცხოველების ვოლიერები. შემთ-



და მიწასთან გაასწორა შენობები. ოფიციალური ვერსიით, სტიქიამ 19 ადამიანი იმსხვერპლა. მათ გარდა სამ დაკარგულს დღემდე უშედეგოდ ეძებენ. თვითმხილველების თქმით, წყალმა რამდენიმე წამში ყველაფერი გადაფარა. მისი სიმაღლე ზოგიერთ ადგილას 10 მეტრს აჭარბებდა.

რამდენიმე წუთში მოვარდნილმა ღვარცოფმა ადამიანები ბედის ანაბარა, ღია ცის ქვეშ დატოვა. ადამიანები ხეებზე და სახლის სახურავებზე აღიოდნენ. ზოგისთვის თვითგადარჩენის, ზოგისთვის კი, სხვისი გადარჩენის ინსტიქტმა იმძლავრა. სანამ ადგილზე სამაშველო სამსახურები გამოჩნდებოდნენ, ადამიანები სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად საკუთარს საფრთხეში ავებდნენ. ადამიანებთან ერთად მათ გადაარჩინეს რამდენიმე ცხოველი - მტაცებლები, რომლებმაც გალიებიდან თავის გათვისუფლება მოახერხეს. სტიქიას სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს ემსხვერპლა სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად მებრძოლი ერთერთი მაშველიც, რომელმაც 7 ადამიანის გადარჩენა მოასწრო...

წყალიდობამ მთლიანად გაანადგურა თბილისის ზოპარკი, ავტომავისტრალთან არსებული ნაწილი. ცხოველების გადარსარჩენად ზოპარკის სამი თანამშრომლის მცდელობა ტრაგედიით დასრულდა. მათი გვაშების აღმოჩენა მხოლოდ მეორე დღეს მოხერხდა.

გულიკო ჭიტაძე, თბილისის ზოპარკის მთავარი ძიძა-მომვლელი, მისი მეუღლე მალხაზ ჭიტაძე, მომვლელი და გივი დვალი, ასევე მომვლელი. მათი ცხედრები 14 ივნისს, მომვლელებისთვის განკუთვნილ შენობაში აღმოაჩინეს.

წყალმა მოანგრია ვოლიერები. მტაცებელთა ნაწილმა წყალიდობას ვერ გაუძლო, ნაწილი კი, რომელმაც გამოქცევა მოახერხა, სტიქიას გადაურჩა, ადამიანს კი ვერა. მათი ლიკვიდაცია შესაბამისმა უწყებებმა მოახერხეს.

„13 ივნისს საქართველოს დედაქალაქ

ხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ ზოპარკის თანამშრომლები, მობილიზებული იყო სამაშველო სამსახური და სპეცდანიშნულების რაზმი. სამაშველო ოპერაცია მთელი ღამე გრძელდებოდა. ცხოველების ნაწილი დაიხრჩო, ნაწილმა მოახერხა ვოლიერებიდან გამოსვლა. ზოპარკის თანამშრომლები მთელი ღამის განმავლობაში ცდილობდნენ სამობილიზაციო საშუალებებით ცხოველების დაძინებას და უსაფრთხო ტერიტორიაზე გამოყვანას. სპეცდანიშნულების რაზმი იძულებული გახდა მოეხდინა იმ რამდენიმე მტაცებლის ლიკვიდაცია, რომელმაც მიაღწია ავტომავისტრალს, სადაც საცობის გამო უამრავი ადამიანი იმყოფებოდა“, - ეს წერილი თბილისის ზოპარკის ადმინისტრაციამ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით გამოაქვეყნა.

ზოპარკიდან გამოიქცა ჰიპოპოტამიც, რომელიც გმირთა მოედნის ტერიტორიაზე თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ ვოლიერში. თბილისის ქუჩებში მოსერჩენე ბეგი მსოფლიო პრესის მთავარი გმირი გახდა. სტიქიას მასთან ერთად ის ცხოველებიც გადაურჩნენ, რომელთა ვოლიერებიც შემალღებულ ადგილას იყო განთავსებული.

„მათ შორის არიან სპილოები, თეთრი ლომები, ლეოპარდები, ირმები, ზებრები, ლამები, ტაპირი, მარტორქა, ცივეტა, სერვალი, ჯიხვი, ცხენები, აზავერები და სხვადასხვა სახეობის ფრინველები. წყალიდობას გადაურჩა ეგზოტარიუმიც. საძიებო სამუშაოების შედეგად, ნაპოვნი და გადარჩენილ ცხოველებს შორისაა 2 დათვი, 2 ნიანგი, 2 მგელი, 6 პინგვინი, გარეული ტახის გოჭი და რამდენიმე ფრინველი“, - ვკითხულობთ ზოპარკის ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

ადმინისტრაციის ცნობით, სოციალურ ქსელებში გავრცელებული სხვადასხვა ინფორმაცია და ფოტოები თბილისის უბნებში გამოჩენილ ცხოველებთან დაკავშირებით სიმართლეს არ შეესაბამებოდა, თუმცა მოგვიანებით, თბილისის მერმა,

დავით ნარმანიამ ფაქტი იმის შესახებ, რომ მტაცებლები შესაძლოა თბილისის ქუჩებში ყოფილიყვნენ, დაადასტურა.

იმავე დღეს ნარმანიამ მოქალაქეებს მოხალისეობისკენ მოუწოდა, შეკრების ადგილად კი გმირთა მოედანი დაასახელა. ნახევარ საათში დანიშნულების ადგილი ხალხით გაივსო. ახალგაზრდები განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, კანის ფერისა, დაულალავად შრომობდნენ დედაქალაქის ქუჩების დასასუფთავებლად. სწორედ ამ სამუშაოების დროს აღმოაჩინეს რამდენიმე ცხედარი და დახოცილი მტაცებლები.

მოგვიანებით სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანმა მინდია ჯანელიძემ განაცხადა, რომ ყველა მტაცებელი ცხოველი ან დაჭერილია, ან ლიკვიდირებულია. მოსახლეობას საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

ამ განცხადების შემდეგ რამდენიმე სააგენტომ ზოპარკის ადმინისტრაციაზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თბილისში იძებნებოდა ვეფხვი, დათვი და აფთარი.

წყალიდობიდან მეოთხე დღეს, 17 ივნისს, დედაქალაქის ცენტრალურ უბანში, ზოპარკიდან გამოქცეულმა ვეფხვმა ადამიანი დაგლიჯა. სოციალურ ქსელებში გავრცელდა ვიდეო, რომელშიც აფრო-ამერიკელი ბიჭი ითხოვდა ვეფხვთან მიშველას „მიმიშვი და სამ წუთში დავაძინებ. მე ჯუნგლებიდან ვარ, ეს ჩემი საქმეა“, - ყვიროდა ის, თუმცა მისი მცდელობის მიუხედავად, თეთრი ვეფხვის ლიკვიდაცია მოახდინეს.

ამ ფაქტის შემდეგ დადგა პასუხისმგებელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი. ჯანელიძე ამტკიცებდა, რომ ის ინფორმაციას ზოპარკის ადმინისტრაციიდან იღებდა. მისი თქმით, სწორედ ამის გამო მოხდა საზოგადოების შეცდომაში შეყვანა.

მალე ზოპარკის დირექტორი, ზურაბ გურიელიძე დაკითხვაზე წაიყვანეს. დაკითხვის შემდეგ გურიელიძე აურთხავისტემთან საუბარში აცხადებდა, რომ პასუხისმგებლობას მთლიანად საკუთარ თავზე იღებდა.

ამ ამბების პარალელურად, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს განმედიტი სამუშაოები, სადაც უამრავი მოხალისე მუშაობს. „ჩვენი დროის გმირები“, - ამ ნოდებსა დღეს არაერთი მოქალაქე ატარებს. ზოგი ტალახისგან ასუფთავებს სტიქიის ზონას, ზოგი საქმელს ამზადებს მათთვის, უფასო ტრანსპორტით ემსახურება მოხალისეებს.

მას შემდეგ, რაც სოციალურ ქსელებში აქტიურად იწერებოდა იმის შესახებ, რომ ტაქსის მძღოლებმა საფასური გაზარდეს, ბევრი მათგანი კი „ტალახში ამოგანგულ“ მოხალისეებს არ უჩერებდა, სტიქიის ზონის ადგილას უამრავი ტაქსი გამოჩნდა წარწერით „უფასო ტაქსი მოხალისეებისთვის“.

იყო შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი სახლის დაღაცებისას მოხალისეებმა ფული იპოვნეს, გარეცხეს, გააშრეს და პარტონს დაუბრუნეს.

დაზარალებულთა დასახმარებლად გაერთიანდნენ მოქალაქეები და კომერციული ორგანიზაციები. ბანკებში გაიხსნა ანგარიშის ნომრები სტიქიით დაზარალებულთა მხარდასაჭერად. მოქალაქეებს სახლიდან მოჰქონდათ საჭმელები, მოხალისეებისა და დაზარალებულთა გამოსაკვებად. საქართველოს ევროკავშირმა 3 მილიონი ევრო გამოუყო დაზარალებულთა მხარდასაჭერად, ხოლო 400 000 ევრო მათთვის პირველადი მოხმარების ნივთებისა და საკვების შესაძენად. მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში დაიგეგმა საქველმოქმედო კონცერტები თბილისის დასახმარებლად. არაზუსტი მონაცემებით, საქართველოს დედაქალაქს სტიქიამ 100 მილიონზე მეტი ლარის ზარალი მიაყენა.

ახალგაზრდების აქტიურობამ კი მთლიანად შეცვალა ამ თაობაზე დამოკიდებულება.

„უნდა ვაღიარო: მე და ჩემ მეგობრებს რაღაც სხვა ინერცია გვაფერხებდა. სხვანაირი ვიყავით. იმას, რასაც დღეს, გუშინ და გუშინინ ჩემი სტუდენტები აკეთებდნენ, ჩვენ არ შეგვეძლო. სულ ამ საზიზღარი ფრაზის: „რა თაობა მოდის“ წინააღმდეგი ვიყავი და უბედური კონტექსტიდან, კარგი რამე თუ გამოდებოდა: ერთი, ეს მოიშლება იმედია“, - წერს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კვეციანი.

„რომ ვამბობდი, ყველაფერი იცვლება, სხვა თაობა მოდის-მეთქი, ირონიული ღიმილით მეუბნებოდნენ, შენ სტუდენტები სულ გიყვარდაო. რომ ვამბობდი წინ მივდივართ-მეთქი, მეუბნებოდნენ-გეჩვენებო. ხომ გვაჯობს შვილებმა! ხომ ხედავთ, რა დიდი ამბავია დამოუკიდებელ ქვეყანაში რომ დაიბადები!“, - ასე გამოეხმაურა ფილოლოგი და პოლიტიკოსი ლევან ბერძენიშვილი აღნიშნულ მოვლენებს.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ყოფილი დირექტორი სოციალურ ქსელში წერს:

„დღეს ბევრი სათქმელი დამიგროვდა. იმაზე, რომ ხალხი დაგვეღუპა. თან ბევრი. თან იმაზე, რომ, ალბათ, მეტის გადარჩენა შეიძლებოდა.“

იმაზე, რომ არასოდეს მომწონს დიდი ჩარევები ბუნებაში და არც მდინარე ვერეს გვირაბში მოქცევა მიმაჩნდა სწორად.

იმაზე, რომ თუ ვერეს ხეობაზე არ გაიყვან ალტერნატიულ გზას, მე არ ვიცი, როგორ უნდა განიტვირთოს დასაცობებული თბილისი.

იმაზე, რომ გარემოს დაცვაც უნდა გვანალვლებდეს და ქალაქის განვითარებაც.

იმაზე, რომ ამ ორი დიდი მიზნის ერთდროულად მიღწევა, უპირველესად, კომპეტენტურ სპეციალისტთა საქმეა და არა ნაირნაირი პოლიტიკოსებისა.

იმაზე, რომ არ შეიძლება სტიქიური უბედურებების შეფასებისას, უპირველესად, პოლიტიკური მიზანი გვაზომავდეს-ვის ძველი, ვის-ახალი ხელისუფლების კრიტიკა.

იმაზე, რომ „ახალი გზის“ ამენებამდე ისედაც იყო ვერე გვირაბებში მოქცეული (თამარაშვილის ქუჩისა და ვარაზისხევის ქვეშ) და ეს გვირაბები ისევე გაიჭედა, როგორც ახლები.

იმაზე, რომ არა გვაქვს არც ზოპარკის და არც სხვა მნიშვნელოვანი დაწესებულებების ევაკუაციის განვრცოლი გეგმები - რომელი უბედურებისას რას ვაკეთებთ. ვინ, როგორ და რა საშუალებებით.

იმაზე, რომ მამველები და მშრომლები მაგარი ხალხია და მართლა ბევრმა იღვანა - პროფესიონალმა თუ ისე მოქალაქემ.

იმაზე, რომ დღეს ქუჩებს აშკარად აკლდა ხელმძღვანელობაც, ორგანიზებულობაც, ტექნიკაც...

თუმცა დღის მთავარი სათქმელი მაინც ეს ახალგაზრდობაა!


შემართული და ანთებული, არავისგან დარიგებული და უაღრესად შეგნებული, დაკუნთული თუ კაფანდარა, შარვლიანი თუ შორტებიანი, ბოტებიანი და ბოტასებიანი, აკურატულად მომუშავე თუ ტალახში ამოგანგულელი...

თაობა, რომელიც რწმენას გაძლევს. გაძლევს და გიბრუნებს დიდ რწმენას, რომ ჩვენს ქვეყანას დიდი მომავალი აქვს.

ბოდიში, ახალგაზრდებო, მართლა არ მეგონა, თუ ამდენი იყავით. ამდენი და ასე კარგები...

მადლობა, მადლობა“...

კესო მთავრიშვილი  
ნილო საბაური



# პროექტი მათთვის, ვისაც ბიზნესის წამოწყება სურს

30 მაისს „ტიფლის ბიზნეს თავერში“ ღონისძიების სახით პროექტი - „Start Up მარანი“ მესამედ გაიმართა, რომელიც Start Business Solution-ისა და Green Capital-ის ორგანიზებით ჩატარდა. პროექტში მონაწილეობა 150-მა აპლიკანტმა მიიღო, თუმცა მხოლოდ 10-ს მიეცა შესაძლებლობა საკუთარი იდეა ინვესტორებისთვის გაეცნო და დაფინანსების შანსი მოეპოვებინა. ორგანიზატორების თქმით, პროექტი დამწყებ მენარმეებს შესაძლებლობას აძლევს ინოვაციური იდეები აქციონ რეალობად და მოიპოვონ დაფინანსება 1000-100 000 \$-ის ფარგლებში. ინვესტორებს კი, შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ ინოვაციურ იდეებს და მოახდინონ ინვესტიცია მათთვის საინტერესო ნაშრომებში. ღონისძიებას საქართველოში მოღვაწე წარმატებული კომპანიების დამფუძნებლები, ღირვექტორები და მონვეული ინვესტორები ესწრებოდნენ.

2014 წლის გაზაფხულზე დაიბადა ახალი პროექტის იდეა, რომლის ორგანიზებაზეც სოციალური პასუხისმგებლობას აიღებდა ორი კომპანია. კერძოდ, Green Capital-ი და Start Business Solution-ი. იდეის დაბადებისთანავე პროექტმა „Start Up მარანი“ სახელით დაიწყო განხორციელება. დღეს კი, „Start Up მარანი“ საზოგადოებას ემსახურება და არაკომერციულ ორგანიზაცი-

ადაა ჩამოყალიბებული. საზოგადოების ნაწილი პროექტის სახელწოდებიდან გამომდინარე იღვას უკავშირებს ღვინოს და მარანს, თუმცა, სახელს თავისი განმარტება გააჩნია, რომელიც სულაც არ ნიშნავს სასმლის შექმნას.

რატომ „Start Up მარანი?“ მოგვსენებთ, ყურძენი დაღვინებამდე რამოდენიმე ეტაპს გადის, მისი დამუშავება ხდება მარანში და საბოლოოდ გარდაიქმნება ღვინოდ. სწორედ ამ პროცესთან არის დაკავშირებული ინოვაციური იდეების და გამოშვების პროცესი. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ სახელს ქართული ელემენტი აქვს, რაც თავად პროექტის ლოგოზეც არის აღნიშნული.

რაც შეეხება უშუალოდ პროექტს, ეს არის სოციალური პროექტი, სადაც დამწყები მენარმეები საკუთარი ახლებური იდეებით ხელმძღვანელებენ. „Start Up მარანი“ ბიზნესის დანაწიების ან განვითარების მსურველებს შესაძლებლობას აძლევს აპოკინოს მათთვის შესაფერის ბიზნეს პარტნიორს თუ ინვესტორს.

„საქართველოში საშუალო და მცირე ბიზნესი არ არის განვითარებული, თუმცა ვიცით, რომ ქვეყნის ეკონომიკური აღმსვლა სწორედ მის განვითარებას შეუძლია. ეს არის მიზეზი, რატომაც უნდა იარსებოს ამ პროექტმა. საქართველოში დაფინანსების პრობლემა



ნამდვილად არსებობს, ბანკები მაღალი რისკების გამო არ აფინანსებენ ახლად დაბადებულ იდეებს, ახალგაზრდა მენარმეებისთვის კი - ფინანსების მოპოვების ერთერთი საშუალება არის ინვესტორი, პარტნიორი, რომელიც ბიზნესში გარკვეული რაოდენობის წილის სანაცვლოდ ახდენს საკუთარი ფინანსური რესურსის ინვესტირებას. ჩვენი ორგანიზაცია უკვე მესამე „Start Up მარანს“ მასპინძლობს და თანაც უკვე წარმატებით“, - აღნიშნა პროექტის ორგანიზატორმა ზურაბ პერტაიამ.

მარანის თითოეულ ღონისძიებას თან ახლავს შეფასების კითხვარი, რომლის საშუალებითაც ინვესტორებს საშუალება ეძლევათ

პროექტი შეაფასონ და საუკეთესო იდეის ავტორი გამოავლინონ. ღონისძიების დასრულების შემდეგ მონაცემები იკრიბება და შედეგების მიხედვით პროექტის ფავორიტი იდეა ვლინდება. გასული „Start Up მარანების“ შეფასებებისგან განსხვავებით, რთული აღმოჩნდა საუკეთესო იდეის გამოვლენა. ინვესტორების ხმები თითქმის თანაბრად იყო გადანაწილებული წარმოდგენილი იდეებისათვის. მცირე სხვაობით, საუკეთესო იდეად „SMART TRANSLATE“ დასახელდა, რომელიც ილიას უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის სტუდენტების ჯგუფს ჰქონდა წარმოდგენილი.

„მიხარია, რომ ამდენი კარგი იდეა არსებობს და საბოლოოდ

შესაძლებელია მათი რეალობაში განხორციელება. განსაკუთრებით მახარებს, რომ იდეა იდეის დონეზე არ დარჩა და განვითარების შესაძლებლობა მოგვეცა“, - ამბობს ერთერთი მონაწილე ანი ალბუთაშვილი.

„Start Up მარანის“ მომდევნო ღონისძიებისთვის, რომელიც შემოდგომათი გაიმართება, მზადება უკვე დაწყებულია. პროექტში მონაწილეობის მსურველებს შესაძლებლობა აქვთ სოციალურ ქსელში აპლიკაციის შევსების საფუძველზე მიიღონ მონაწილეობა და განავითარონ საკუთარი იდეები.

ლანა ოსიშვილი

## მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი თუ ადგილობრივი წარმოების დეგრადაცია

ლარის კურსის მერყეობა მკვეთრი დაცემისკენ გადაიხარა. სამომხმარებლო პროდუქტზე ფასებმა უკვე მოიმატა. ექსპერტების განცხადებით, სამომავლოდ პროდუქტის კიდევ უფრო გაძვირება გარდაუვალია. ამ პროცესზე ორი ფაქტორი მოქმედებს, დოლარის გამყარება და მსოფლიო ეკონომიკის ფინანსური კრიზისიდან გამოსვლა. ლარის გაუფასურების ერთერთ მიზეზად მსოფლიოში დოლარის გამყარება მიიჩნევა, თუმცა ექსპერტების ერთი ნაწილი ეროვნული ვალუტის სისუსტეს ადგილობრივი წარმოების დეგრადაციით ხსნის. ამ თემასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენტთა ასოციაციის, „აფბას“, ვიცე პრეზიდენტ შოთა გულბანს.

**როგორ ფიქრობთ, რა ნაბიჯები გადადგა ქართულმა ოცნებამ ხელისუფლებაში ყოფნის დღიდან ბიზნესისა და ეკონომიკის სფეროში?**

პირველ რიგში რაც მნიშვნელოვნად მიმართა, ამ პოლიტიკური ძალის დამსახურებად არის ის, რომ ბიზნესზე მწილობა აღარ ხორციელდება, ყოველ შემთხვევაში, მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა, რაც ხელისუფლება შეიცვალა. ეს იმას ნიშნავს, რომ არის სრული თავისუფლება და დემოკრატია, რაც მნიშვნელოვანია ბიზნესის განვითარებისთვის. რაც შეეხება კონკრეტულად რა გაკეთდა, მიმართა, რომ ბევრი აქტიური ნაბიჯი გადაიდგა ამ სფეროს გამოცოცხლებისთვის და მაგალითისთვის შეიძლება წარმოვადგინოთ ეკონომიკის სამინისტროში შემავალი მენარმეობის განვითარების სამინისტრო, თუ თქვენ იცნობთ მათ საქმიანობას, გველოდინებათ რომ, ისინი ძალიან ბევრი პროგრამას ახორციელებენ, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასთან, თუნდაც მიკრო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც დადებითად შემოქმდილია შევაფასო. ეს პროგრამა გულისხმობს 5000-ლარიანი გრანტების გადაცემას მიკრო მენარმეებისთვის, რათა მათ თავიანთი ბიზნესი განავითარონ. ბევრ ძალიან კარგ პროგრამას ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ პირველად მოხდა უპრეცედენ-

ტო რაოდენობით(დაახლოებით 400 000 ჰექტარის) სახანავ-სათესი მიწების ათვისება. საბოლოო ჯამში მიწა ვითხრათ, რომ უკანასკნელი 3 წელიწადი ბიზნესის განვითარებისთვის საფუძვლის მოსამზადებლად საკმაოდ ეფექტური იყო.

**როგორ ფიქრობთ, რა შიდა ფაქტორები განაპირობებენ ქვეყანაში ვალუტის კურსის ცვალებადობას?**

თუ გამოვიყენებთ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და ვალუტის შემოდინების ძირითად წყაროებს, რაც გარანტიაა იმისა, რომ ქვეყანაში ეროვნული ვალუტა იყოს მყარი, შიდა ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის შიგნით წარმოებული მომსახურებისა და პროდუქციის რაოდენობა, რაც უფრო მეტი არის ეს უკანასკნელი ფაქტორი, მით უფრო ძლიერია ეროვნული ვალუტა. ეს ყველაფერი ჩვენს ქვეყანაში არის მწირი რესურსით წარმოდგენილი და, შესაბამისად, ჩვენი ეროვნული ვალუტაც სუსტია.

**თქვენი აზრით, დადებითად იმოქმედებს თუ არა ლარის კურსზე ის, რომ ეროვნულ ბანკს საზღვარგარეთში ფუნქცია ჩამოერთვა?**

ზოგადად ეს გადაწყვეტილება არ არის ახალი, ამაზე მიმდინარეობდა საუბარი ჯერ კიდევ 1999 წელს, მაგრამ მაშინ არ მიუღიათ ეს გადაწყვეტილება, რადგან საბანკო სფერო არ იყო საკმაოდ ძლიერი. როდესაც ნაციონალური მოძრაობა მოვიდა ხელისუფლებაში, ეს ზედმხედველობა უკვე დამოუკიდებელი იყო, მაგრამ როგორც კი გიორგი ქადაგიძე გახდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, მან ისევ დაიქვემდებარა საბანკო ზედმხედველობის სამსახური. ბევრს მიაჩნია, რომ ეს საავტენტო არ იქნება დამოუკიდებელი და იქნება პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებული ორგანო. თუ დაუშვებთ იმ აზრს, რომ „ქართული ოცნების“ მხირდან ეს მართლაც პოლიტიკური მანიპულირების საშუალება იქნება, რა თქმა უნდა, ეს ქმედება არ იქნება სწორი, მაგრამ მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო სწორედ იმიტომ, რომ არსებობდა ლეგიტიმური კითხვები ლარის კურსთან დაკავშირებით.

**ბევრი მიიჩნევს, რომ ლარის კურსის გაუარესება არის, ხელისუფლების მიერ**

**არასწორად გადადგმული ნაბიჯების შედეგი, თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

მთავრობის როლი რომ შევაფასოთ ამ პროცესებში, უნდა გადავხედოთ, როგორ მოქმედებდნენ ისინი ბიუჯეტის მიხედვით, ხოლო ბიუჯეტის შესრულებას თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ბიუჯეტის საბოლოო ჯამში არის პროფიციტული, ანუ საბიუჯეტო პროცესებმა არ წარმართა სიტუაცია იმგვარად, რომ მიმოქცევაში უფრო მეტი ლარი ყოფილიყო. აქედან გამომდინარე საბიუჯეტო მანიპულაციების გაგვლენა ლარის გაუარესებაზე არის ნულის ტოლი. მოკლე პერიოდის განმავლობაში მსგავსი სიტუაციისთვის თავის არიდება, ჩემი აზრით, შეუძლებელი იყო იმიტომ, რომ მსოფლიოს მასშტაბით თითქმის ყველა ვალუტასთან გამყარდა დოლარი, და მათ შორის ქართული ლარი იყო ერთერთი, რომლის მიმართაც ყველაზე ნაკლებად გამყარდა. აქედან გამომდინარე ეს შეიძლება გარკვეულ წარმატებადაც კი მივიჩნიოთ. მოკლევადიან პერიოდში იმისთვის რომ მთავრობამ რაღაც გადაწყვეტილება მიიღოს ამ სიტუაციის დასაბალიერებად, არის პრიორიტეტის საკითხის განხილვა, რომელიც აქტიურად მიმდინარეობს და სწრაფ შედეგს იძლევა, ხოლო გრძელვადიან პერიოდში ეს ისევე და ისევე დაკავშირებულია წარმოების, მომსახურების, ტურიზმისა და ზოგადად ეკონომიკის განვითარებასთან.

**შესაძლებელი იყო თუ არა ამ კრიზისის მსუბუქად გადატანა, მეტად მომზადებული რომ დახვედროდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა?**

ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის როლი, რადგან ფასების სტაბილურობის კონტროლი სწორედ მათ ევალებათ. ხშირად ეროვნულ ბანკს აკრიტიკებენ სავალუტო ინტერვენციების განუხორციელებლობაში, მაგრამ ყველა ერთხმად თანხმდება, რომ სავალუტო რეზერვების ხარჯვა ამ შემთხვევაში არ იქნებოდა გამოსავალი, იმიტომ რომ რეზერვს ამოწურავდით და ლარი მაინც განაგრძობდა გაუფასურებას. ეროვნულ ბანკს მხო-



ლოდ მცირე პერიოდში შეუძლია ინტერვენციებით ლარის კურსის შენარჩუნება, მაგრამ ეს პროცესი მაინც გაგრძელდება. რეალურად მას უმარავი ბერკეტი აქვს, რომლის მეშვეობითაც, პირდაპირ თუ ირიბად, მოქმედებს. ესენია:საღვთობით სერტიფიკატები, მინიმალური საბანკო რეზერვები. ეროვნული ბანკი რომ ყოფილიყო მთავრობის სამივე პარტნიორი და მათ კოორდინირებულად რომ მოქმედებდა, ასეთი სიტუაცია არ იქნებოდა.

**თქვენი აზრით, რა შეიძლება გაკეთდეს ლარის კურსის სტაბილიზაციისთვის, რათა მდგომარეობა კიდევ უფრო არ გაუარესდეს?**

ძალიან რთული ამ ყველაფრის პროგნოზირება, ჩვენ ამ შემთხვევაში უნდა გავითავალისწინოთ, რომ ლარი არის ვალუტა, რომელიც მსურავი ვაცვლითი კურსის რეჟიმშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ხან გაუფასურდება, ხან იქნება შედარებით გამყარებული დოლართან მიმართებაში. ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე ლარის კიდევ უფრო გაუარესება აღარ მოხდება, დღეს საქართველოში ეკონომიკური ზრდა შემცირებულია 2 %მდე, შესაბამისად, მთავარია საქართველოში განვითარდეს წარმოება, მომსახურება და ტურიზმი, რაც შედეგად მოიტანს ლარის კურსის გამყარებას.

მარიამ სირაძე





# რუსეთ-უკრაინის გაყინული კონფლიქტი



რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი ბევრმა უკვე მონათლა ბოლო ოცნლეთის ყველაზე მწვავე საერთაშორისო კრიზისად, რომელმაც შესაძლოა ცივი ომის განახლებას დაუდოს საფუძველი. ანალიტიკოსთა უმეტესობა უკრაინის კრიზისის მთავარ გამომწვევ მიზეზად რუსეთის მიმართ დასავლეთის არასწორ, ზედმეტად ტოლერანტულ პოლიტიკას ასახლებს, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის მსოფლიოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას ისახავდა მიზნად და პუტინის რეჟიმის ნაკლოვანებებზე ხშირად ზედმეტად ხუჭავდა თვალს. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ თბილისის ფაბიანური საზოგადოების დამფუძნებელს, ექსპერტ ლევან ლორთქიფანიძეს.

- როგორ შეაფასებდით რუსეთის ქმედებებს და უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს?

ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთის გეოპოლიტიკური აზრის წარმომადგენლები (საივკი, გუმილოვი, ტრუბეცკოი, დუგინი ) ერთსა და იმავე თემაზე საუბრობენ. ისინი ძირითად ევრაზიის (ყოფილი სსრკ და აღმოსავლეთ ევროპა) რუსული ქოლგის ქვეშ გაერთიანებაზე და დასავლური, ატლანტიკური სივრცისა ლტერნატიული პოლუსის შექმნაზე სვამენაქცენტს. გასული ასწლეულების განმავლობაში მათ მიზანს არაერთხელ მიაღწიეს. ჯერ ცარისტულ რუსეთს ჩაუყარეს საფუძველი, შემდეგ კი ევრაზიული ნაციონალისტური იდეის

განხორციელება კომუნისტური ნიღბის გამოყენებით სცადეს.

დღეს რუსეთიც არისტული და საბჭოთა იმპერიებთან შედარებით, მცირე ტერიტორიას ფლობს. ევრაზიული იდეების მომხრეებისათვის, ამდენი ხნის შემდეგ, რუსეთის გავლენების ასეთი შემცირება განსაკუთრებული დამცირების ტოლფასია. აქედან გამომდინარე, ისინი 1991 წლიდან დღემდე, უპირისპირდებიან რუსეთის დემოკრატიზაციასა და მშვიდობაზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკის გატარებას. 2000 წელს ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინის მოსვლით, მათ პირველად ამოცანას მიაღწიეს. შემდეგი ნაბიჯები იმპერიის ხელახალი გაფართოების პროცესი უნდა ყოფილიყო, რაც 2008 წელს საქართველოდან დაიწყო.

რაც შეეხება უკრაინას, მისი ტრაგედიის მიზეზი ადგილობრივ ოლიგარქებს შორის მიმდინარე დაპირისპირება გახლდათ, რომლითაც ტრადიციულად ისარგებლა ევრაზიული გაფართოებისაკენ მიდრეკილმა, აგრესიულმა იმპერიამ.

- შესაძლებელია თუ არა რუსულ-ქართულსა და რუსულ-უკრაინულ კონფლიქტებს შორის პარალელის გავლება? არის თუ არა აფხაზეთში განვითარებული მოვლენები ყირიმში განვითარებულ მოვლენების მინი-მოდელი? მოქმედებდა თუ არა რუსეთი იმავე სცენარით ყირიმში?

აფხაზეთსა და ყირიმს შორის რამდენ-

ნიმე უმნიშვნელოვანესი პრინციპული განსხვავება არსებობს. პირველი, ყირიმში, ფაქტობრივად, მონოეთნიკური ავტონომიური ერთეული გახლდათ (თუ არ ჩავთვლით ყირიმელ თათართა თემს), იქ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა, დაახლოებით 90% რუსულ ეთნოსს წარმოადგენდა. აფხაზეთში კი, კონფლიქტამდეც და კონფლიქტის შემდეგაც, მრავალეთნიკური ადგილობრივი მოსახლეობით ხასიათდება (აფხაზები, რუსები, სომხები, ქართველები). ყირიმელთაგან განსხვავებით, აფხაზებს აფხაზეთით დასახლებული დიდი იმპერია არ უმაგრებთ ზურგს.

აღსანიშნავია ისიც, რომ დამოუკიდებლობის ოცდართი წლის განმავლობაში, ყირიმზე კიევისურის დიქცია ვრცელდებოდა, აფხაზეთი კი თავიდანვე წარმოადგენდა "გაყინულ" კონფლიქტში ჩათრეულ სეპარატისტულ რეგიონს, რომელშიც ქართველთა ეთნიკური წმენდა განხორციელდა. ჩვენგან განსხვავებით, კონფლიქტის შემდეგ უკრაინაში დევნილების პრობლემა არ წარმოქმნილა.

თუმცა, ცხადია, ორ მოვლენას შორის უამრავი მსგავსება არსებობს. კერძოდ, ორივე შემთხვევაში კონფლიქტის ეთნიკურ ნიადაგზე ესკალაციას ხელი რუსეთმა შეწყობ. ორივე შემთხვევაში სეპარატისტულ ძალებს სამხედრო მხარდაჭერა რუსეთის რეგულარულმა არმიამ გაუწია. ორივე რეგიონი საერთაშორისო იზოლაციისთვის არის განწირული. ყირიმშიც და აფხაზეთშიც სპეციალური სტატუსი სსამხედრო ძალები განლაგდნენ.

მაშასადამე, განსხვავებების მიუხედავად, ორ შემთხვევას შორის უამრავი პარალელის გავლება შეიძლება, მაგრამ მთავარი, რაც მათ აერთიანებთ, მაინც უცხო ქვეყნის მიერ ადგილებზე სამხედრო ბაზების განლაგებაა. რაც მთავარია, ამ ბაზების მთავარი მიზანი რეგიონზე სამხედრო კონტროლის უზრუნველყოფა გახლავთ, რაც, თავის მხრივ, კვლავ ევრაზიულ გეოპოლიტიკურ იდეებს უკავშირდება.

- არსებობს მოსაზრება, რომ რუსეთი მესამე ჩეჩნურ ომს წამოიწყებს იმისთვის, რომ დასავლეთთან ურთიერთობა დააღაგოს და მათი ყურადღება უკრაინასთან მომხდარი კონფლიქტიდან ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაზე გადაიტანოს. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

რუსეთის დღევანდელი ხელისუფლე-

ლობა.

თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩეჩნეთში გასანადგურებელი და საომარი აღარათფერი დარჩა. რამდენიმე შეიარაღებულ ფორმირებასთან მუდმივ საომარ მდგომარეობაში ყოფნა კი რუსეთს ყოველთვის მოუწევს. ჩრდილოეთ კავკასიაში კიდევ დიდხანს ძალიან გავლენიანები იქნებიან ისლამური ფუნდამენტალიზმის მიმდევრები, მაგრამ მათი შესაძლებლობები ამ ეტაპზე ომის წამოწყების მიზეზი, ალბათ, არ უნდა გახდეს.

თან ყურადღების გადატანა არც არის საჭირო. ატლანტიკურ სივრცეში პირველხარისხოვან პრობლემადგანიხილება "ISIS"-ის მოქმედებები საქართველოს სამხრეთით, ირან-აშშ-ს ურთიერთობები და ა.შ.

- შეათვალეთ დასავლეთის პოლიტიკა რუსულ-უკრაინულ კონფლიქტთან დაკავშირებით, რამდენად ეფექტურია მათი პოლიტიკა?

დასავლეთი ზომიერი და გონივრული მოქმედებებით გამოირჩევა. მათ ეკონომიკური სანქციების გზა აირჩიეს, რაც უმძიმეს ტვირთად უკვე დაანგარუსეთის ეკონომიკას. ირანთან ურთიერთობების დათბობის რეალისტური შანსები ნავთობის ფასის უფრო მეტად გაუფასურების წინაპირობა შეიძლება გახდეს, რაც დამატებითი სირთულე იქნება რუსეთისათვის. პარალელურად, ძლიერდება უკრაინის ფინანსური რესურსებით დახმარების ტენდენციაც. აშშ-ზე რომ აღარათფერი ვთქვათ, მხოლოდ გერმანიამ უკრაინას ნახევარ მილიარდ ევროზე მეტი დახმარება გამოუყო. ევროპა ომში ვერ ჩაერევა. ისინი ჯერ საკუთარ მოქალაქეებზე, მათ კეთილდღეობაზე ფიქრობენ და მხოლოდ შემდეგ იწყებენ მოქმედებებს საერთაშორისო სამართლის ნორმების დასაცავად.

ცხადია, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ დღეს დასავლეთისთვის სიმძიმის ცენტრი ახლო აღმოსავლეთშია გადასაცვლებული.

- თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა ურთიერთობის დარეგულირება უკრაინასა და რუსეთს შორის მშვიდობიანი გზით?

დღევანდელი გადმოსახედიდან ეს, ფაქტობრივად, გამორიცხულია. რუსულ-უკრაინული ურთიერთობების განვითარების შემდეგი ეტაპი კი „გაყინული კონფლიქტების“ ჩამოყალიბების პროცესი იქნება.

თუმცა, აქვე ცალკე საკითხია, აუკრაინის დღევანდელი ხელისუფლება



ბის მხრიდან გამორიცხული არაფერია, მითუმეტეს, რომ დასავლეთი ყოველთვის შეუფერებლად დუმდა ჩეჩნეთში განვითარებულ მოვლენებზე. აშშ-მაც და ევროპამაც თავის დროზე არაფრად ჩააგდეს ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენები, მილიონობით უდანაშაულო ადამიანის განადგურების წარმატებული მცდე-

და პოლიტიკური ძალები. საკითხავია, რამდენად შესწევთ მათ ძალა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისა, რომელიც ანტიევრაზიული პოლიტიკის ეფექტიანად გატარებას მოახერხებს.

# სმენადაქვეითებული შუშხენალი პრობლემები



ადამიანის ერთერთი ყველაზე ძლიერი მოთხოვნაა შეგრძნებათა ნორმალური ფუნქციონირება, რომლის საშუალებითაც ის იღებს სასიცოცხლოდ აუცილებელ ინფორმაციებს. ხუთი გრძობის ორგანო ორგანიზმისთვის გარესსამყაროდან აგროვებენ ინფორმაციას სინათლის, ფერის, ხმის, სუნის, გემოს, ტემპერატურის, შეხების სახით. რომელიმე მათგანის უკმარისობა ადამიანისთვის, ბუნებრივია, დიდ ტრავმას წარმოადგენს.

ერთერთი ასეთი პრობლემის - სმენის დაკარგვის დროს ირღვევა მეტყველების განვითარება. სმენის არმქონეთათვის არსებობს დაქტილოლოგია - თითების საშუალებით ფიგურების აგება. სპეციალისტების აზრით, ყრუმუნჯ ბავშვებთან ურთიერთობისათვის ყველა ხელმისაწვდომი მეთოდი უნდა გამოვიყენოთ. მშობლებისა და პედაგოგების მთავარი ამოცანა ასეთი ბავ-

შვებისათვის სიტყვიერი განვითარება უნდა იყოს. დროულად უნდა შეირჩეს სასმენი აპარატი. სხვა შემთხვევაში, დაირღვევა მეტყველების უნარი, რაც, თავისთავად, ინტელექტუალური განვითარების ბარიერად გარდაიქმნება.

„ყრუთა კავშირის“ ღირეფტორი მია მეტონიძე სმენის პრობლემის მქონე ადამიანთა საჭიროებებსა და შეუსწავლელ პრობლემებზე საუბრობს. ის განიხილავს, თუ რატომ ვერ ახერხებენ სმენის პრობლემის მქონე ადამიანები საზოგადოებაში ინტეგრაციასა და სხვა ადამიანებთან კომუნიკაციას. რატომ ეზღუდებათ ხშირად განათლების მიღების უფლება და ვერ ახერხებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვან ჩართვას.

„ძალიან დიდ წინააღმდეგობას ისინი სამედიცინო დანესებულებებში აწყობიან, რადგან არ მიენოდებათ სრულფასოვანი ინფორმაცია. თუმცა, ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტები დავანერგოთ. 2002 წელს საქართველოს „ყრუთა კავშირი“ მსოფლიოს „ყრუთა კავშირის“ შეუერთდა. მიუხედავად ამისა, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მეტი ძალისხმევა, რათა ეს ადამიანები საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იყვნენ მიჩნეული“, - განაცხადა „ყრუთა კავშირის“ ღირეფტორმა.

მაია მეტონიძის თქმით, ამ ბავშვებს არ აქვთ საშუალება, რომ ნორმალური განათლება მიიღონ.

„ძალიან საინტერესოა, რატომ ვერ

მოხერხდა დღემდე იმ შესაძლებლობების განვითარება იმგვარად, რომ ამ ბავშვებმა შეძლონ ზოგადი განათლების ნორმალურად მიღება და გავრძელება შემდგომ საფეხურზე“, - ამბობს მაია მეტონიძე.

„საქართველოში სმენადაქვეითებულ ბავშვთა სულ ორი სპეციალიზებული სკოლაა: თბილისის 203-ე და ქუთაისის 45-ე საჯარო სკოლები, თუმცა ამ პრობლემის მქონე ბავშვების რიცხვი 10-ჯერ მეტია. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სკოლებში სწავლების ხარისხის მიხედვით გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ეს იყო 10 წლის წინ“, - ამბობს მაია მეტონიძე. მისდავე თქმით, ეს ბავშვები ასევე ვერ იღებენ უმაღლეს განათლებას, რადგან არ აქვთ საშუალება სათანადოდ მოემზადონ საატესტატო გამოცდებისთვის.

მისდავე თქმით, სმენადაქვეითებულ ბავშვებს უჭირთ სოციუმში ინტეგრაცია, მიუხედავად იმისა, რომ გარემო მათი საზოგადოებაში ინტეგრირების უფრო მეტ მანსს იძლევა.


აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში არსებობს სახელმწიფო პროფესიული კოლეჯი „მერმისი“, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს აქვთ ამა თუ იმ სპეციალობაზე სწავლის საშუალება. ისინი უგამოცდოდ ირიცხებიან კოლეჯში და იმის გამო, რომ არ შეუძლიათ ისწავლონ ნებისმიერ სპეციალობაზე, რომელსაც კოლეჯი ზოგადად სტუდენტებს სთავაზობს, ორგანიზატორები ურჩევენ თუ რომელი სპეციალობაა

მათთვის ხელსაყრელი. სმენადაქვეითებულ ბავშვებს შეუძლიათ შეისწავლონ, მაგალითად, მზარეულის, მემინანქრის, ელექტრიკოსის, თექის ხელოსნის სპეციალობები.

კოლეჯ „მერმისის“ პროფორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ლალი ბემკენაძის თქმით, კოლეჯი მაქსიმალურად უწყობს ხელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების სრულყოფილი ცოდნის მიღებას.

„ჩვენ გვაქვს სპეციალური კომპიუტერული პროგრამა სმენადაქვეითებულ სტუდენტებისათვის, რომლის საშუალებითაც ისინი იღებენ ცოდნას. ტექნიკასა და სწავლის საფასურის გადახდას კი სახელმწიფო უზრუნველყოფს“, - განაცხადა ლალი ბემკენაძემ.

ნათია ქურდაძე



ჩემი სამშობლო საქართველოა. ქვეყანა, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილიც გადარჩენისთვის იბრძვის და არა უკეთ ცხოვრებისთვის. ადგილი, სადაც ჯერ კიდევ არ არსებობს თანაბარი პირობები ყველასთვის - აქ ხომ ან ყველაფერი გაქვს, ან არაფერი

(თუმცა ეს „ყველაფერი“ შესაძლოა მხოლოდ ჩემი გადმოსახედიდანაა ყველაფერი და რეალურად არაფერიც არ არის).

ჭავჭავაძის გამზირიდან თავისუფლების მოედნამდე ფეხით ოცი წუთის სავალია. ამ ოც წუთში გზაზე მიმავალს ოცი ადამიანი

## „მე ყველას წუხილი მანუხებს, მე ყველას ტკივილი მტკივა“

(ბლოგი)

მანც გთხოვს დახმარებას. ბუნებრივია, თითოეულ მათგანს განსხვავებული ისტორია აქვს, მაგრამ გასაჭირი-ყველას საერთო. გავლენებს სოციალური მდგომარეობა გვაქვს სხვადასხვა, თუმცა დამოკიდებულებაა ერთნაირი - თითქმის არცერთს არ გვეჩვენება მათი სახე შეშნობას მოკლებული.

ათიოდე წლის წინ თბილისში ერთი ძალიან ნიჭიერი კაცი-გოდერძი ჩოხელი ცხოვრობდა. იგი დაუღალავად ისმენდა ხალხის პრობლემებს და „სევდის გულში“ უყრიდა თავს. მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურად ძალიან უჭირდა, არცერთი წერილი არ დაუტოვებია პასუხისა და დახმარების გარეშე. მისმა გულმა ამდენ პრობლემას ვერ გაუძლო, სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა, თუმცა „სევდის კაცის“ ტკივილი არაფერს მითანა გულთან ახლოს. საქართველოში ვერ გამოიძებნა საჭირო თანხა მისი დაავადების სამკურნალოდ. საზოგადოებამ, სხვისი დარღების თანაბარი, მარტო დატოვა საკუთარი პრობლემებისა და უღმობელი სიკვდილის წინაშე.

სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები ძალიან ბევრია. ვფიქრობ, საზოგადოება ვერ აცნობიერებს, რომ სახელმწიფო მასშტაბით მისი

ოჯახი არის სახლი, სადაც ცხოვრობს, ხოლო მსოფლიო მასშტაბით-სამშობლო. საკუთარ პრობლემებში ჩაფლულები, მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენისათვის ვიბრძვით და ბედს მივანდობთადამიანებს, რომლებსაც ბრძოლა არ შეუძლიათ და ჩვენკენ აქვთ გამონვდილი ხელი. არ ვიცი, ვინ არის ვალდებული იზრუნოს, რომ მათ იარსებონ-მთავრობა, ჩვენ-ადამიანები, თუ თავად უნდა ირჩინონ თავი, მაგრამ ფაქტი ერთია - საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანი ზუსტად ისე მიათრევს ყოველდღიურობას, როგორც ჭიანჭველა საკვებს. ძალიან ბევრი მათგანი სიკვდილს ზუსტად ისე ელოდება, როგორც ჩვენ ველოდებით ყოველი თვის ბოლოს ხელოვასებს.

დღეს ძალიან მინდა თითოეულ ადამიანს დავეხმარო, რათა იარსებოს ამ დაუნდობელ სამყაროში, თუმცა არ ვიცი, ხვალ შესაძლოა, ისევე არ მომეჩვენოს არცერთი მათგანის სახე შეშნობას მოკლებული, ხვალ შეიძლება ისევე ვიქნა, კეთილი ინებოს და იზრუნოს საკუთარ თავზე-მეთქი.

ნინო ნიკოლოზაშვილი

## მსოფლიო ჩემპიონობა პირველად

საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონია. ჩინეთში გამართულ ჩემპიონატზე, ქართველმა მოჭადრაკეებმა შედარებით დაპირისპირება მოიგეს, ფინალში მასპინძელთა ნაკრები 2, 5 : 1, 5 დაამარცხეს და პირველად გახდნენ ჩემპიონები.

ფინალურ შეხვედრაში, 19 წლის მერი არაბიძემ ჩინელ შენ იანგს სძლია და გუნდსაც მოაპოვებინა გამარჯვება. მერი არაბიძესთან ერთად ჩინეთში ითამაშეს ბელა

ხეტენაშვილმა, აღსანიშნავია, რომ ქალთა შორის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი 2007 წლიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. საქართველოს ნაკრებისთვის საუკეთესო შედეგად აქამდე 2013 წელს, ყაზახეთის ქალაქ ასტანაში დაკავებული მესამე ადგილი ითვლებოდა.

„ჩვენ გუნდის ლიდერის ნანა ძაგნიძის გარეშე ვითამაშეთ. თავიდან ვფიქრობდით, რომ ჩვენთვის საუკეთესო სამეულში მოხვედრა

კარგი შედეგი იქნებოდა, მთავარი მწვრთნელის დიდი დამსახურებაა, რომ ნაკრებმა ეს გამარჯვება მოიპოვა,“ - განაცხადა ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ვია გიორგაძემ ჩინეთში გამართულ პრესკონფერენციაზე.

მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული საქართველოს ქალთა ნაკრების მეხუთე უმნიშვნელოვანესი გამარჯვებაა.

მაია ჯიმშიტაშვილი





# ცხოვრება ვოლთერში - მტაცებლები ჩვენ გვერდით



ბოლო დროს სოციალურ ქსელ “ფეისბუქზე” თბილისის ზოოპარკის გვერდი საკმაოდ აქტიური გახდა, რადგან ინტერნეტის საშუალებით, ზოოპარკის ერთ-ერთი თანამშრომელი ცხოველების მოყვარულებს ყოველდღიურად აწვდის ინფორმაციას მათი მდგომარეობის შესახებ. გაზეთმა “See More“-მა გადაწყვიტა სტუმრად მისულიყო ტერიტორიაზე და მკითხველისთვის შიდა სამზარეულო გაეცნო.

ზოოპარკის პიარმენეჯერი, მზია შარაშიძე, აღნიშნულ პოზიციას გასული წლის პირველი იანვრიდან იკავებს. მისი საშუალო გამოცდილება სკოლის ასაკიდან იწყება და არაერთ წელს ითვლის. მუშაობდა ტელევიზიებში, რადიოებში და ასევე ერთ-ერთ კომპანიაში. როგორც თავად ამბობს, ზოოპარკში მისი მისვლა დაგეგმილი არ ყოფილა და იქ შემთხვევით მოხვდა.

„წამოვედი კომპანიიდან, რადგან მსურდა ჩემი ცხოვრება სხვა მიმართულებით წასულიყო. განსხვავებული გეგმები მქონდა, თუმცა სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ ზოოპარკში პიარმენეჯერის ვაკანსია იყო გამოცხადებული, მე კი ამ სფეროთი ყოველთვის დაინტერესებული ვიყავი. ერთ-ერთ ტელევიზიაში მუშაობის დროს, ზოოპარკიდან ჩართვა მქონდა, მაშინ ვთქვი, რომ ერთ დღეს აქ

აუცილებლად მოვიდოდი სამუშაოდ და ასეც მოხდა“, - ამბობს მზია.

ცხოველების მოყვარულს, მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად, სახლში თუთიყუშებიც ჰყოლია და ჩიტებიც. ახლა თევზებს უვლის და ამბობს, რომ ზოოპარკში ისე ვერ იმუშავებ, ცხოველებისა და ფრინველების მიმართ დადებითად თუ არ ხარ განწყობილი. ტერიტორიაზე ყოველდღე გადის და ფოტოებს იღებს, რომლებიც შემდეგ სოციალური ქსელის, ფეისბუქის ზოოპარკის გვერდზე იდება.

შედის ყველა ვალიაში, სადაც მისი შესვლა შესაძლებელია, ზოგჯერ იქაც, სადაც ეს აკრძალულია.

ცოტა ხნის წინ მგლების ვოლიერში შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ გააცნეს ვოლიერში მოქცევის წესები, შიშის გრძობა მაინც ჰქონდა, თუმცა საშიში ზონა სიამაყის გრძობით სავსემ დატოვა.

ამბობს, რომ ზოოპარკს მომხმარებელი სეზონურად სტუმრობს, ყველაზე მეტი დამთვალიერებელი კი ზაფხულის პერიოდში და შაბათ-კვირას ჰყავს მაშინ, როცა პატარები სკოლაში აღარ დადიან. მზიას თქმით, ზოოპარკის ცხოველებით სტუდენტებიც არიან დაინტერესებულნი და ხშირად კითხულობენ ვაკანსია ხომ არ არის გამოცხადებული.

ახლგაზრდების ნაწილი ზოოპარკში

მოხალისედ მუშაობის სურვილსაც ხშირად გამოთქვამს.

მისი თქმით, ზოოპარკის ფეისბუქ გვერდის გააქტიურებას ადამიანების დიდი ნაწილის გამოხმაურება მოჰყვა. მზია ამბობს, რომ უამრავი აქტიუობა ხორციელდება, რაც ერთერთი მიზეზია იმისა, რომ გასულ წლებთან შედარებით, მიმდინარე წელს ტერიტორიას ბევრად მეტი სტუმარი ჰყავს.

„ასევე გაიზარდა შობადობა, გვყავს ახალშობილი ბოკერები და ლომები, რომლებიც ადამიანებს ძალიან უყვართ“, - ამბობს მზია.

მისი თქმით, ადამიანების დამოკიდებულება ზოოპარკის მიმართ საგუნობლად შეიცვალა. „აღრე თუ მართოს მიწვედა იმ ხალხთან გამკლავება, რომლებიც პროტესტს გამოთქვამდნენ, ახლა მოქალაქეები თავად აწვდიან ერთმანეთს სწორ ინფორმაციას კომენტარების მეშვეობით“.

რაც შეეხება ზოოპარკის ტერიტორიაზე განთავსებულ ატრაქციონებს, ზოოპარკის საკუთრებას არ წამოადგენს. “ჩვენ ფართი გვაქვს გაქირავებული და ისინი საკუთარი მენეჯმენტით თავად არიან დაკავებული. მათ ფუნქციონირებაში არ ვერევი“, - განმარტავს მზია.

მისი თქმით, თბილისის ზოოპარკს თბილისის ზღვაზე დიდი ტერიტორია აქვს, თუმცა მთლიანი ზოოპარკის გადატანას 100-დან 500 მილიონამდე ევრო სჭირდება, რაც ამ ეტაპზე შესაძლებელი არ არის.

„ვაპირებთ, ნაწილ-ნაწილ გადავიდეთ, ამიტომ, პირველ რიგში დათვების გადაყვანას ვგეგმავთ, რადგან ისინი არ არიან იმ პირობებში, რა პირობებშიც უნდა ცხოვრობდნენ“, - ამბობს მზია და განმარტავს, რომ ზოოპარკში 14 ჩაბარებული დათვი ცხოვრობს, რომლებიც კერძო პირებს სხვადასხვა მიზეზის გამო ჩამოართვეს.

„ცხოველები გაუსაძლისი პირობებში ჰყავდათ, რესტორნების წინ, ერთ კვადრატულ მეტრში მოთავსებული. ჩვენთვის მათი შენახვა ძალიან რთულია, რადგან საჭირო ტერიტორია აქ ფიზიკურად არ არის“.

ნაწილობრივ მუნიციპალიტეტისა და ნაწილობრივ თვითდაფინანსებაზე მყოფი ზოოპარკის დასუფთავებაზე მისივე თანამშრომლები ზრუნავენ. ვოლიერები სუფთავდება ყოველდღიურად.

„უკვე ყველამ იცის თუ რატომ არ არის სუფთა წყალი ჰიპოპოტამის აუზ-

ში. ამ ცხოველს ტერიტორიის მონიშვნის უცნაური თავისებურება ახასიათებს, კუდის ქნევით ფეკალიებს სამი მეტრის რადიუსში ყრის. დასუფთავებული ვოლიერის დანახვა არ მოსწონს და იმისთვის, რომ თავი ისევე საკუთარ სახლში იგრძნოს, ახალგამოცვლილ წყალს მაშინვე აბინძურებს. დათვები კი ჯერ მიწაზე გორაობენ, შემდეგ წყალში ჩადიან. ტალახში ამოგანგლულები ამას დღის განმავლობაში რამდენჯერმე აკეთებენ, მესაბამისად, მათი წყალი არ არის სუფთა და გამჭვირვალე“.

ზოოპარკს აქვს ქცევის წესები, რომლებსაც ბევრი სტუმარი არ იცავს, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. მიუხედავად იმის, რომ თითოეულ ვოლიერზე წერია თუ რისი გაკეთება ეკრძალება დამთვალიერებელს, მზიას თქმით, ეს თემა დღემდე პრობლემატურია.

„ცხოველებს აქვთ მკაცრად განსაზღვრული კვების რაციონი. იღებენ ზუსტად იმდენ საკვებს, რამდენიც რეკომენდირებულია, სწორედ ამიტომ, მათთვის დამატებით საკვების მიცემა ძალიან საზიანოა. სამწუხაროდ, სტუმრები ხშირად კვებავენ მათ პოპკონითა და ბატიბუტით, რაც უამრავ პრობლემას ქმნის“.

ზოოპარკს 150-მდე თანამშრომელი ჰყავს. ტერიტორიაზე დამონტაჟებულია 300-მდე კამერა, რომლებიც კონტროლდება დაცვის თანამშრომლების მიერ. ზოოპარკის დამცველები ტერიტორიაზეც მოძრაობენ და წესების დამრღვევ დამთვალიერებელს მითითებას აძლევენ. მზიას თქმით, ზოოპარკის თანამშრომლებს უფლება აქვთ ტერიტორია დაატოვებინონ იმ ადამიანს, რომელიც წესებს არ ემორჩილება.

„ხშირად მიმიცია შენიშვნა იმ დამთვალიერებლისთვის, რომელიც ცხოველს ქვებს ესვრის ან მის გამოკვებას ცდილობს. სამწუხაროდ, ამ ქცევას სტუმრები ძალიან აგრესიულად იღებენ“.

მზია ამბობს, რომ წელ-წელა ყველაფერი უკეთესობისკენ იცვლება და იმედოვნებს, რომ ზოოპარკის დასათვალიერებლად მისული სტუმარი წესებს მაკცრად დაიცავს და როგორც მომხმარებლის, ასევე ცხოველის უფლებაც მეტად იქნება დაცული.

კესო მთავრიშვილი

## თბილისის ზოოპარკი 13 ივნისამდე...





# კოპლეზიანი გობონები ქუჩის გუზაშიდან.. ისტორიები იქმნება ასე!



ბნელა, თბილისში 90-იანებია. ჩამონგრეული შენობებისა და ატლახებული გუბეების ფონზე, ცამეტი წლის თამუნა პოლანდიაში მცხოვრები მამისგან საფოსტო ბარათებს იღებს, ყრდაზე ამსტერდამის ქუჩებში გამოსახული «Street Art»-ებით. თითქოს არაფერი, მაგრამ ამ გზავნილების ადრესატი მხატვრობაზე ოცნებობს. დენის მოსვლაზე მეტად მამის ბარათებს ელოდება და თბილისის გაჭვარტლულ ქუჩებში მსგავს, ფერად და ორიგინალურ ნახატებს ამოად დაეძებს.

დედის გადმოცემით, პირველი ნახატი „სტაფილო და კურდღელი“ დანყებით კლასებში შექმნა. მასწავლებელმა მშობელს ახარა, ეს ბავშვი მხატვარი გამოვაო და ნამუშევარი კლასის დაფაზე ჩამოკიდა. მას შემდეგ სკოლის კედლები მის პერსონალურ გალერეად გადაიქცა. თუმცა ხატვისთვის გამოყოფილ საზღვრებს არც შაშინ ემორჩილებოდა და პერიოდულად საკუთარი შემოქმედების მერხებიდან წაშლა უწევდა.

სამომავლო გამოფენებსა და ნამუშევრებზე ფიქრით გატაცებული, ხატავდა ყოველთვის და ყველაფერზე, მაგრამ პროფესიის არჩევასა ქვეყანაში არსებული რეალობაც გაითვალისწინა - ნახატების შექმნის მსურველთა ამოღობის, სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის სწავლა არჩია, თუმცა მისსავე თქმით, წლების შემდეგ, ამ სფეროში თავის განვითარების შესაძლებლობა

ვერ დაინახა.

„ხელოვნებისთვის შეკვეთებზე მუშაობა ძალიან რთულია. შენს თავში მუდმივად სიახლეა. აცოცხლებ შენს გონებაში წარმოდგენილ პერსონაჟებსა და მოქმედებებს. ამ დროს დაკვეთით რაიმე ასლის შექმნა აბსურდულია“, - ამბობს თამუნა.

საკუთარი თავის ძიების პროცესში თბილისი თანდათან ბნელიდან გამოდის. ინტერნეტის ერა თამუნას ბავშვობისდროინდელ საფოსტო ბარათებთან აბრუნებს. ეცნობა გრაფიკისა და „Street Art“-ის ისტორიას და მასშიც ამერიკის რომელიღაც შტატში მატარებლებზე მორბენალი, პირველი ქუჩის მხატვრების ადრენალინი იღვიძებს. მსოფლიოს თანამედროვე ხელოვნების ყველაზე ხმაურიანი მიმართულების ნამუშევრებით შთაგონებული იწყებს ხატვას „ქართული ტექნიკით“. დიახ, თბილისში ჯერ კიდევ განთიადია, კედელზე სახატავი „პულივიზატორები“ არ იმოვება, ამიტომაც ევროპისთვის აფსურდულს, თამუნა ქართულ რეალობაში შესაძლებელს ხდის - ფუნჯებით, მანქანებისა და მაცივრების შესაღები საღებავებით ქმნის პირველ ნამუშევრებს კედელზე. 2012 წელს კი, სოციალურ ქსელში, ევროპაში „Street Art“-ის ფესტივალზე იწვევენ.

„იქ გატარებული დღეები ბედნიერებით გამოწვეული სრული შოკი იყო. შევხვდი ადამიანებს, რომლებმაც პირადად ჩაუყარეს საფუძველი ამ სუბკულტურას.

მათგან ვიღებდი მასტერკლასებს, პირველად შევეხე ნამდვილ, კარგი ხარისხის საღებავს“, - ამბობს თამუნა და მის თვალეში მოელვარე პატარ-პატარა ნაპერწკლები შავი რეზინების მიღმაც ადვილად შეიმჩნევა.

საქართველოში დაბრუნებული ფესტივალიდან წამოღებულ მზის სხივებს აქა-იქ აბნევს. დღეს უკვე ჩვენს ქვეყანაშიც შესაძლებელია მისთვის საოცნებო საღებავების შექმნა. სხვადასხვა კომპანიები თანდათანობით ინტერესტებიან ქუჩის მხატვრობით. პირველმა ევროპულმა ტურმა მასაც წარმატება მოუტანა. დღეს მისი ნახატები პარიზისა და ლონდონის კერძო კოლექციებში ინახება. ერთი თვის წინ დაბრუნდა საფრანგეთიდან, სადაც ქალაქ ლიონში სხვა მხატვრებთან ერთად მისი ნამუშევრებიც იყო წარმოდგენილი. გამოფენა წლის განმავლობაში ქვეყნის თითქმის ყველა ქალაქს მოივლის.

ფართო აუდიტორიის მისი ნამუშევრებისადმი დაინტერესებას მარტივად ხსნის: „ჩემი კოპლეზიანი გოგონები“. მის ნახატებს წორედ სურეალისტური სახესა თუ ტანზე დანინკლული პერსონაჟებითა და ნამუშევრის ქვემოთ მიწერილ ფსევდონიმით „TAMOONZ“-ით ამოიცნობთ.

თითოეული „Street Art“-ი ქუჩის მუზეუმს შეერთებამდე პრომატეგად გზას გაივლის. კედელთან დგომისას გონებაში შექმნილი ექსკიზები დეტალურად

გათვლილი ვადმოაქვს ქუჩის სახატავ ტილოზე. ფინანსურად საკმაოდ ძვირი სიამოვნება მისთვის იმდენად დიდი ადრენალინია, საკუთარი ჯიბიდან თანხას საღებავისთვის უყოყმანოდ იღებს. არც ფიზიკურ მზაყოფნას უშინდება, რომელიც დიდი მასშტაბის ნახატის შესაქმნელად აუცილებელია და ხუმრობს, რომ ჯანზე სწორედ ამისთვის მოვიდა. საყვარელი საღებავის სუნის სუნთქვა კი საათობით შეუძლია. მერე რა თუ ჯანმრთელობის საზიანოა.

მისი სამომავლო გეგმები არაერთი და მრავალფეროვანია. ინტერიერის დიზაინერი, ილუსტრატორი, „Game Maker“-ი, ეს იმ საქმიანობების არასრული ჩამონათვალია, სადაც ძალების მოსინჯვა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სურს.

- და მაინც სად იქნება ოცი წლის შემდეგ ერთერთი პირველი ქართველი ქუჩის ხელოვანი?

- გონზე არ ვარ. საქართველოში, ან საზღვარგარეთ, მიწაზე, ან ცაში, შვილიშვილებთან, თუ კატებთან ერთად. არ ვიცი სად და როგორ, უბრალოდ, უსასრულოდ დაფხატავ.

თბილისში კი მის ნახატთან მდგომ გამვლელს მზის სხივები მოსჭრის თვალს.

თაკო უმფრინანი







# Spilen d 3D

თქვენ, ალბათ შეხვედრილხართ მარიამს, შესაძლოა ყოველდღიურად საერთო ტრანსპორტითაც მგზავრობთ, მაგრამ არ გახსოვთ. დიახ, მასში ერთი შეხედვით განსაკუთრებული არაფერია, თუმცა მხოლოდ ერთი შეხედვით. ამბობენ, მასისგან განსხვავებულ ინდივიდებს თვალის ერთი შეხედვითაც აღმოაჩენო, მარიამი კი ან გამო-ნაკლისია ან საკუთარ ორიგინალურობას ოსტატურად მალავს. თქვენს მიერ გადასაყრელად გამზადებული ნივთებისგან ის ხელოვნების ნიმუშებს, ბრინჯის მარცვლების-

ნატეხი ნაგავსაყრელის ნაცვლად ახლა უკვე მარიამთან მიაქვთ. ამბობს, რომ ხატვა უყვარს, მაგრამ ეს მისი ძლიერი მხარე არაა, სპილენძში კი საკუთარი ნიშა და თავის გამოხატვის საუკეთესო გზა იპოვნა. თითოეულ ნახატზე მუშაობისას მიღებული სიამოვნების მიუხედავად მუშაობის პროფესი მანაც დამლწელი და შრომატევადია. სახელოსნოდ გადაკეთებულ პატარა ოთახი კი ამ მიზეზით არაერთი უძილო ღამის მომსწრე გამხდარა. „ღლის საათებში ვერ ვმუშაობ, ამიტომ ძირითადად ყველა ნახატს საღამოს

აბსტრაქტული სახეები და წყვილების სიჭარბე, ასე შეიძლება დახასიათდეს უბრალო მნახველისათვის მარიამ მელაძის შემოქმედება. ბოლო დროს მოდილიანმა გაიტაცა და სპილენძში მისი სამი ნახატიც შეასრულა, ერთ-ერთი მათგანი კი 12 ივლისს, მოდილიანის 132-ე იუბილის აღსანიშნავად გამართულ გამოფენაზე ესტონეთში იქნება წარმოდგენილი. კითხვაზე რატომ ამაღეო, პასუხობს რომ მის ნახატებშიც არაერთგზის შეხედვით უპროპორციო სახის მქონე ქალბატონებს-სხვა გალაქტიკიდან. ძირითადად

მაგრამ ფაქტია სწორედ ეს „სიმჩატე“ და სილაღე ქმნის მის ხელოვნებას, რაც მისი შემოქმედების შექმნის მსურველთა რიცხვზეც აისახება. მიუხედავად მსურველებისა ჯერ ჰონორარი ხელოვნებისათვის არ აუღია, საკუთარ ნაშრომს მატერიალურად ვერ აფასებს თუმცა მსურველების უარით გასტუმრებაც არ სურს და ნახატების უმრავლესობა გაჩუქებული აქვს. მომავლის გეგმებზე საუბრისას სახიდან ღიმილი არ შორდება, ცოტა ხნის წინ საკუთარი ღიმილით სამოსის შექმნა დაიწყო და ამ ეტაპზე სრულადაა ამ საქმიანობაზე გადართული,



გან კი ადამიანისეულ სახეებს ქმნის. თავის პირველ ნამუშევრად თევზის ფხისა და გუაშით შექმნილი „სასაცილო კაცის“ პორტრეტი მიაჩნია. სპილენძით ხატვა კი სპონტანურად დაიწყო: „სახლში ძველი მავთულები ვიპოვნე და ვიფიქრე მათი ნახატის კონტურებზე დაწვებით საინტერესო შედეგს მივიღებდი“. ცნობისმოყვარეობით დაწყებული ჰობი უკვე მესამე წელია გრძელდება და ათეულობით ნამუშევარს ითვლის. მის ნაცნობ-მეგობრებს კი სპილენძის ნებისმიერი

ვაკეთებ და უმეტესწილად ვათენებ კიდევ. ადრე ვცდილობდი რაც შეიძლება ადრე დამესრულებინა ნამუშევარი ახლა თითოეულ მათგანს უფრო დიდ დროს ვუთმობ და ყველა დეტალზე დიდხანს ვმუშაობ“ ბოლო მათგანი დიდი ხნის დაიწყო, თუმცა როგორც თავად ამბობს დასასრულებლად მუზას-სიყვარულს ელოდება. დამთვარიელებელი კი ავტორისეულ დამოკიდებულებას ამ გრძნობის მიმართ ყველა ფოტოში შენიშნავს. თბილი ფერები,

სწორედ აბსტრაქტულ პორტრეტებზე მუშაობს, მაგრამ მათ იდეებსა და შინაარსზე თავად არ საუბრობს: „ვფიქრობ თითოეულ მნახველს უნდა შეეძლოს საკუთარი ხედვით შეხედოს ნახატს და ამოიკითხოს ავტორის აზრები, ამიტომ არასდროს ვაბობ თავად მე რა ჩავდე ნამუშევარში“ ავტორის აზრით მისი ნახატები: ახალგაზრდა წყვილები, მულატი ქალბატონების სახეები თუ ჭრელი მოზაიკისგან შექმნილი ყვავილები ზოგს შესაძლოა ბავშვურადაც მოეჩვენოს,

სულ მალე ხატვის ტექნიკის დახვეწნა და სპილენძის ნამუშევრების ახალი ეგზემპლიარებით გამდიდრებას აპირებს, რაც სავარაუდოდ პერსონალური გამოფენით დასრულდება. მანამდე კი ბოლო ნახატის დასასრულებლად მუზა-სიყვარული უნდა იპოვოს.

თამარ უმფრიანი







**მე რომ დავიზადე...** იყო მარტი , და დედაჩემი იყო ისეთი ლამაზი როგორც მე არასდროს ვიქნები...

**ზავშობის წლებიდან ხშირად მახსენდება...** ჩემი კაბები, რომლებსაც ახლაც ვინახავ.

**ზიჰად რომ დავბადებულყავი...** ვიქნებოდი ყველა კაცზე სამაგელი ვისაც ვიცნობ

**ვარ...** მშიშარა, ცოტა კატისებური

**არ ვარ...** ჩექმებიანი კატა, სამწუხაროდ

**ჩემთვის სახლი არის...** სიზმარივით, რომელიც შემთხვევით გაწყდა და იქცა რეალობად.

**ადამიანებში ვემებ...** არა ჩემნაირობას

**ვგრძნობ...** სიცარიელეს

**ვემალეები...** ადამიანებს

**ვდარდობ...** რომ, არ ვარ ბებიაჩემი რომელიც მოკვდა....

**მახსოვს, როცა პირველად...** შევედი მდინარეში

**მაიტერესებს...** რას ფიქრობენ სკამები

**არ მაინტერესებს...** როდის მოკვდებიან ჩემი მეზობლები

**ბოლოს მუცლის ტკვილამდე ვიცინე როცა...** ჩემმა მეგობარმა მითხრა , რომ შევეარებულს ვგავარ

**5 წლის შემდეგ ვიქნები...** ცისფერთმიანი

**რომ არა ის რაც ვარ ვიქნებოდი...** ქათმების მომშენებელი

**ყოველდღიურად ვკარგავ...** სიცოცხლის სურვილს (ზოგჯერ ვპოულობ)

**მიკვირს როცა...** მჯერა, რომ ცოცხალი ვარ

**უარყოფ...** რაც მითქვამს უცხო ადამიანებთან ჩემს თავზე

**ვინახავ...** ყველაფერს

**ვიცი, რომ შემძლია ...** გადავხტე პარაშუტის გარეშე

**მეშინია...** ყველასი, ვინც მიცნობს

**ვპატიობ...** ყველას, ყველაფერს

**ვიფიქრებ...** ყველაფერს რაც მახსოვს, ჩემი თავის ჩათვლით

**ვიცინი...** ხმადაბლა

**ჩემ შემდეგ დარჩება...** სიჩუმე, რომელიც იქნება ხმაური

**რომ არა საქართველო, დავიზადებოდი...** სადმე ჩრდილოეთში, ვიცხოვრებდი თოვლის სახლში და მეყოლებოდა ირმები

**მინდა რომ...** ზოგჯერ მაინც, ზუსტად ვიცოდე რა მინდა

**ვუსმენ...** ადამიანებს, რომლებიც ცოტას ლაპარაკობენ

**მიყვარს...** ყველა უბედური, ყველა საწყალი, ყველა... ვინც მოკვდა და არ იცის რომ მოკვდა

**ვალამაზებ...** სრულიად სამყაროს ჩემი არსებობით

**დავცინი...** ყველა მოცემულობას

**ვიტყუები როცა...** ვამბობ, რომ მიყვარს და როცა ვამბობ რომ არ მიყვარს

**80 წლის ვიქნები...** არავის ბებია

**და ბოლოს, ვიტყვოდი რომ...** სამსახურში ისევ მაგვიანდება

ნინო საბაური

ლია ლიქოკელი დაიბადა 1986 წლის 6 მარტს. მისი სადებიუტო წიგნი „დევის ცოლის სიცილი“ 2013 წელს გამოვიდა. ლიამ მონაწილეობა მიიღო ქარჩხაძის გამომცემლობის მიერ ორგანიზებულ ლიტერატურულ ფესტივალში „ინსომნია“, მისი მოთხრობა შესულია საფესტივალო კრებულში. აგრეთვე მონაწილეობდა ლიტერატურულ კონკურსში „წერო“, სადაც ჟიურისა და კულტურის სამინისტროს რჩეული გახდა.

„დევის ცოლის სიცილი“ ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბას“ 2014 წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი გახდა.

ლია ლიქოკელი ხევსურეთში, კერძოდ ბარისახოში დაიბადა, სკოლაც იქ დაამთავრა. იქაურობა ძალიან ჩაკეტილი სივრცე იყო, ამიტომ სახლიდან არ გამოდიოდა და ძირითად დროს კითხვაში ატარებდა. როგორც თვითონ ამბობს, მუთაქაზე მეტად ზარმაცია. უყვარს ფოლკლორი, ამბობს, რომ ესმის თუ რატომ და როგორ წერდა. უყვარს თომას მანი და განსაკუთრებით „ჯადოსნური მთა“, თვლის, რომ მასზეა დაწერილი და პათოლოგიურ სიმამრებს იღებს მისი კითხვისას. უყვარს ვერლომ ახვლედიანის მთელი შემოქმე-

დება.

მონონს თანამედროვე ქართული პოეზიაც. განსაკუთრებით ქალი პოეტები, არა იმიტომ, რომ ქალები არიან. უბრალოდ, მიაჩნია, რომ ქალებმა უფრო თამამად იციან თავისი ამბების მოყოლა. მის შემთხვევაშიც ასეა. შეიძლება ზოგს აღიზიანებს, როგორ ჰყვება ასე გულწრფელად, როგორი სენტიმენტალურია, იმიტომ, რომ მიჩვეული ვართ ადამიანები, რომ რაღაც უნდა დავმალეთ, წერის დროსაც კი, მაგრამ მიაჩნია, რომ პოეზიას აქვს ის ღირსება, მოჰყვებ ყველაფერი შენს თავზე. გულწრფელობას ყველაზე მეტად აფასებს. მასზე ამბობენ, ერთხელ უკვე დაბერებული და თავიდან დაბადებულიაო, აბა ასეთი ახალგაზრდა გოგო ამდენ ტკივილს და ემოციას როგორ იტევსო. ამას თვითონაც არ უარყოფს.

წერა არის ის, რის ნაკლებობასაც გრძნობდა მთელი ცხოვრება და აწუხებდა. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ წარმოედგინა, თუ წერას დაიწყებდა. ისევე, როგორც ყველაფერი მის ცხოვრებაში, ესეც დაუგეგმავად მოხდა. ერთ დღესაც გადაწყვიტა, რომ ლექსი უნდა დაეწერა. წერა ბევრი – გაურკვეველად და უმინაარსოდ და შემდეგ წამოვიდა ტექსტი, რომელზეც

არ უფიქრია თავიდან და დაწერა ლექსი - „ნეტა საფერთხელებს არ ვაცხოზდეთ“, რომლითაც იწყება მისი ლექსების პირველი კრებული – „დევის ცოლის სიცილი“. ლიას არასოდეს უზრუნია თავისი ლექსების გავრცელებაზე. მხოლოდ სოციალურ ქსელში აქვეყნებდა საკუთარ გვერდზე. დაამთავრა თეატრალური უნივერსიტეტი. პროფესიით კინორეჟისორია. ამბობს, რომ რეჟისორობა აქტიურ ადამიანების საქმეა, რომლებსაც ხალხთან მუშაობა უყვართ. თვითონ კი, გუნდური მუშაობა არ შეუძლია. მეგობრებმა გადაწყვიტეს მისი ლექსები რამდენიმე ლიტერატურულ ჟურნალში დაებეჭდათ. კრებულის გამოცემაც მეგობრების დიდი ძალისხმევით მოხდა. „დევის ცოლის სიცილმა“ იმდენად ალაფრთოვანა ლიტერატურული საზოგადოება, რომ „საბას“ გადაეცა წლის დებიუტისთვის. შემდეგ იყო ლიტერატურულ კონკურს „წეროში“ გამარჯვება. პროზაც ისეთივე საოცარი და ემოციურად მძიმე გამოუვიდა, როგორც თავისი ლექსები. ამბობს, რომ წინა „წეროსგან“ განსხვავებით, რომელზე წარდგენილ ნაწარმოებშიც თავის ამბავს მოჰყვდა და ჟიურის სიმპათიაც დაიმსახურა, წელს შეეცადა რაიმე ამბავი შეექმნა.

ნითელი თმა და ჩაცმის განსაკუთრებული სტილი აქვს. ძირითადად, დიდი „ბათინკებითა“ და ზურგჩანთით დადის. ქუჩებში სიარული და ფიქრი უყვარს. განსაკუთრებით ხიდეზე. ამბობს, რომ დღე არ გავა, რომ ერთ ხიდეზე მაინც არ გადავიდეს. გაჩერდება შუა ადგილას და გადაჰყურებს წყალს. ამბობს, რომ ასე უფრო კარგად ფიქრობს.

„ფიქრის დღეები მაქვს. ასეთ დღეებში მართო ვფიქრობ, სხვას არაფერს ვაკეთებ, არც ვლაპარაკობ. წარმოიდგინეთ, ბოლთას ვცემ ოთახში, უკან ჩემი კატა დამდევს და გულის გამანვრილებლად წივის. კარგი სანახაობა ვართ. ისე ვერაფერს მოვყვები ჩემზე ხუმრობისა და ირონიის გარეშე. აღმოვაჩინე, რომ თუ რამე აფუჭებს ჩვენს ცხოვრებას, ზედმეტი სერიოზულობაა. საკუთარი თავი კარგი გასართობია, აი, ვუყურებ და ვხალისობ. თუ ოდესმე მივხვდი, ვინ ვარ და რა მინდა, ყოველგვარი ირონიისა და ხუმრობის გარეშე, ჩათვალეთ, რომ ცხოვრების აზრის პრობლემა გადავჭერი. თუმცა დიდი იმედი მაქვს, ეს არ მოხდება - მაშინ ხომ საინტერესოც აღარაფერი იქნება“..

შორენა ღვინიაძე

მთავარი რედაქტორი:

ნინო საბაური

ნომრის რედაქტორი:

სალომე ქემელაშვილი

ტექნიკურ რედაქტორი:

თამარ უმფრიანი; ნინო წარიმანიძე

დამკაზადონებლები:

ზურაბ კუპრაშვილი, ბექა რეხვიაშვილი

სტილისტ კორექტორები:

ნინო გელაშვილი, შორენა ღვინიაძე,

თამარ ლიპარტელიანი; ნინო ნიკოლოზაშვილი

ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე

განსაკუთრებული მადლობა:

ქეთევან ბზიკაძე

SEE MORE